პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ახალგაზრდა სტალინელი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რეკტორატის, კომკავშირის კომიტეტისა და პროფკომის ორგანო

Ахалгазрда Сталинели — орган парткома, ректората, комитета ЛКСМ и профкома Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

გამოცემის მეოცე წელი

№ 19 (260)
პარასკევი,
11
სექტემბერი
1959 წ.
ფასი 20 კაპ.

ორგანიზებულად ჩავაბარეთ სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების ანგარიშგება-არჩევნები

უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების წრეებში დაიწყო გამგეობათა ანგარიშგება-არჩევნები. ამ პასუხსაგები კომპანიის ორგანიზებულად, მაღალ დონეზე ჩატარებაზე ბევრადაა დამოკიდებული საზოგადოების მთელი წლიური მუშაობის ხარისხი, ჩვენი მუშაობის ის შედეგები, რომელთა დაჯამებას ვახდენთ გაზაფხულზე, ტრადიციულ სამეცნიერო კონფერენციაზე.

წელს საზოგადოების ანგარიშგება-არჩევნები, საზოგადოების სტრუქტურის გადახალისების, მისი გამარტივების შესაბამისად რამდენადმე განახლებული წესით ტარდება. რაში მდგომარეობს ჩვენი სტრუქტურის გადახალისება?

როგორც ცნობილია, ყოველ ფაკულტეტზე არსებობს რამდენიმე სამეცნიერო წრე (დღეისათვის სულ 48 ასეთი წრეა).

ეს წრეები, რომელთა მუშაობას წრის წევრთა მიერ არჩეული გამგეობანი ხელმძღვანელობენ (თავმჯდომარე, მოადგილე, მდივანი) ქმნიან საზოგადოების საფაკულტეტო განყოფილებებს. საფაკულტეტო განყოფილებას სათავეში უდგას ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭო, ხოლო მთელ საზოგადოებას საუნივერსიტეტო სამეცნიერო საბჭო ხელმძღვანელობს. წინა წლებში საფაკულტეტო საბჭოს ირჩევდა საფაკულტეტო განყოფილების საგანგებო კრება, ხოლო საუნივერსიტეტო საბჭოს—საზოგადოების საუნივერსიტეტო კონფერენცია. ამის შედეგად წრის გამგეობათა თავმჯდომარეები და საფაკულტეტო საბჭოს წევრები, ერთი მხრით, ხოლო საფაკულტეტო საბჭოს თავმჯდომარეები და საუნივერსიტეტო საბჭოს წევრები, მეორე მხრით, მეტწილ შემთხვევაში სხვადასხვა სტუდენტები იყვნენ. ახალი სტრუქტურის მიხედვით, რომელიც ნაწილობრივ შაროშანაც გავატარეთ, საბჭოებს საკანგებო არჩევა აღარ სჭირდებათ. საფაკულტეტო საბჭოს ქმნიან წრეების გამგეობათა თავმჯდომარეები, ხოლო საუნივერსიტეტო საბჭოს საფაკულტეტო საბჭოს თავმჯდომარეები შეადგენენ.

საფაკულტეტო საბჭო თავისი შემადგენლობიდან აირჩევს საფაკულტეტო საბჭოს თავმჯდომარესა და მოადგილეს. ამ ფაკულტეტებზე, სადაც ყველა წრეების არჩევნები ჩატარდება ერთდროულად საერთო კრებაზე, საბჭოს თავმჯდომარედ და მოადგილედ შეიძლება ისეთი სტუდენტების არჩევაც, რომელნიც წრის გამგეობის თავმჯდომარეები არ იქნებიან. საბჭოს პასუხისმგებელ მდივნად საბჭო აირჩევს ფაკულტეტის ერთ-ერთი წრის მდივანს.

ფაკულტეტებზე საგადარჩევნო კომპანიის დასრულების შემდეგ შედგება საზოგადოების საუნივერსიტეტო კონფერენცია, რომელიც მოიხმენს საბჭოს ანგარიშს, შეაფასებს წლიურ მუშაობას და აირჩევს საბჭოს თავმჯდომარეს, ორ მოადგილეს და პასუხისმგებელ მდივანს.

სტრუქტურის ამგვარი გამარტივება მიზნად ისახავს მუშაობის უკეთეს კოორდინაციას, საზოგადოების უფრო ქმედითსა და ოპერატიულ ხელმძღვანელობას.

ჩვენი ამოცანაა ანგარიშგება-არჩევნები ჩავატაროთ ორგანიზებულად. კრიტიკულად განვიხილოთ შარშანდელი სამეცნიერო მუშაობის შედეგები, გავერკვეთ ჩვენი წარმატებებისა და ნაკლოვანებების მიზეზებში. სამეცნიერო მუშაობის ორგანიზაცია უნდა მივაღწიოთ საუკეთესო აქტივისტებს, რომელთაც მოეთვებათ სათანადო პასუხისმგებლობა და ავტორიტეტი, შესწევთ ინიციატივის გამოჩენისა და ხაქმიანი ხელმძღვანელობის უნარი. ამაზე ბევრად იქნება დამოკიდებული წრის მუშაობის სამეცნიერო დონე, თემატიკის დროული შესრულება, მუშაობის ახალი ფორმების და მეთოდების მიმარჯვება.

მეორე მხრივ, არჩევნები უნდა დამთავრდეს რაც შეიძლება მოკლე ვადაში, ვინაიდან მათი გაჭიანურება ნიშნავს სამეცნიერო მუშაობის პერიოდის შემოკლებას ხარგანიზაციო ღონისძიებათა ხარჯზე. თემატიკის შესრულებას უნდა შეეფუდეთ დაუყოვნებლივ — არჩევნების დამთავრებისთანავე. ამისათვის კი საჭიროა თემატიკის ამთავითვე განხილვა და დამტკიცება, ანგარიშგება-არჩევნების პარალელურად.

ასეთია ჩვენი საზოგადოების უახლესი ამოცანები, რომელთა შესრულებაც საუზალებას მოგვცემს დროულად და ფართოდ გავშალოთ სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობა.

ა. ალექსიძე,
უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარე.

პირველი ნაბიჯი გადადგმულია

ზაფხულის გამოცდები შედარებით ადვილად დავძლიე, რადგან ზამთრის სესიების გამოცდილება მქონდა.

მალე პრაქტიკა დაგვიწყო. ეს კი არც ისე იოლი აღმოჩნდა, რადგან თბილისის მეხუთვარე მზის ქვეშ 6 საათის განმავლობაში ყოფნა უდავოდ არასასიამოვნოა და დიდ ნებისყოფასა და ამტანობას მოითხოვს, ეს კი, რა თქმა უნდა, პირველ ხანებში ძალიან გვეშინოდა, მით უფრო გეოდეზიის პრაქტიკის გავლისას, როცა ერთ წერტილში გვიხდებოდა მთელი დღის განმავლობაში დგომა და ჩაბარებული ადგილის ნიველირება. საქმე კი მაინც სხვას მოითხოვდა, უფრო რთულს, ბუნების წიაღთან შეჯარებას, ჩემი ნატვრაც ასრულდა: მალე მომიხდა თბილისიდან გამგზავრება ერთ-ერთ გეოლოგიურ-აგეგმვით პარტიაში, სადაც დაკისრებული მქონდა უფროსი კოლექტორის მოვალეობა. პარტია მუშაობდა სამეგრელოს მთიანი ნაწილის მეოცენური ნალექების ზოლში, ამ ნალექების სტრატიგრაფიისა და სტრუქტურების დასაზუსტებლად, რისთვისაც საჭირო იყო შრეებრივი დეტალური გეოლოგიური ჭრილების შედგენა და პალეონტოლოგიური მასალის შრე-შრეზე დაგროვება. ეს სამუშაო მძიმე, მაგრამ უაღრესად საინტერესო და დიდად პასუხსაგები იყო ჩემთვის; მით უფრო, რომ პირველად მიხდებოდა რამდენიმე მილიონი წლის წინ მცხოვრებ ორგანიზმთა ნაშთების ძებნა, რომელთა ქანში პოვნა და იქედან ამოღება საკმაოდ ძნელი საქმეა. თუმცა ამ ორგანიზმთა ნიეარებით არა მარტო ხერხდება მათი შემცველი ნალექების ასაკის დადგენა, არამედ ეს ძველი ორგანიზმები გახრწნის შემდეგ წარმოადგენენ ერთ-ერთ აუცილებელ მასალას ნავთობის წარმოსაშობად.

როგორც მომავალ გეოგრაფს, მხედველობიდან არ გამომრჩენია საკვლევი ტერიტორიის მორფოლოგიური შესწავლა. კერძოდ, ტერასების დადგენა, მდინარის ეროზიაზე, მის მეანდრეებსა და მცენარეულ საფარზე დაკვირვება და სხვ.

ახლა, როდესაც პირველი ნაბიჯი ბუნების გამოკვლევისათვის გადადგმულია, ყოველი პრაქტიკა ჩემთვის წარმოადგენს სანუკვარ ოცნებას და დიდი მოუთმენლობით ველი მომავალ ზაფხულს. ახლა კი, გავლილ წელთან შედარებით, კიდევ უფრო დიდი მონდომებით მინდა მოვკიდო ხელი სწავლას, რათა ღირსეულად ვატარო ფრიადოსნის სპატიო სახელი.

ნუგზარ არჩვაძე,
გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი.

კავკასიის მშობლიურ უნივერსიტეტში

პირველ სექტემბერს უჩვეულო გამოცოცხლება იყო უნივერსიტეტის ეზოში, დერეფნებსა და აუდიტორიებში. სახეგაბაწყინებული ახალგაზრდები ღიმილით ეგებებოდნენ ერთმანეთს, ულოცავდნენ ახალი სასწავლო წლის დაწყებას.

უნივერსიტეტმა ფართოდ გაუღო კარი სტუდენტებს. ნათელი და ფართოაუდიტორიები, კაბინეტები და ლაბორატორიები მომზადებული შეხვდა სწავლის სურვილით აღგზნებულ ახალგაზრდებს.

ჩვენი ვალია ღირსეულად დავაფასოთ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ამაგი. ვისახელოთ თავი კარგი სწავლითა და ყოფაქცევით.

ლ. ზუკაბიშვილი,
ბიოლოგიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი.

შთაბეჭდილებებს უზიარებენ

სექტემბრის პირველი დღეებია... უნივერსიტეტის ეზო, კორპუსების ფასტიბიულები, კაბინეტ-ლაბორატორიები, სამკითხველო დარბაზები, დერეფნები და აუდიტორიები სავსეა სტუდენტი ახალგაზრდებით.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ ეკონომიური ფაკულტეტის IV კურსის ფრიადოსან სტუდენტებს — ლია ბერელაშვილს (მარჯვნივ) და მედეა გოცირიძეს. მეგობარი გოგონები ზაფხულის შთაბეჭდილებებს უზიარებენ ერთმანეთს.

კადრების სამჭედლო

ს. მ. კიროვის სახელობის აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტის 40 წლისთავის გამო

თუ ბაკოში ყოფილხართ და კომუნისტურ ქუჩაზე გაგივლიათ, უთუოდ შეამჩნევდით სამსართულიან, ლამაზ შენობას, რომლის მახლობლად, დღის ყოველ დროს, დაინახავთ ახალგაზრდებს და ყველას სახეზე სიხარულს წაიკითხავთ. ბაკოში ყველამ იცის, რომ ეს შენობა ს. მ. კიროვის სახელობის აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტია. ამ დღეებში განსაკუთრებით საზეიმოდ გამოიყურება ეგი: 15 სექტემბერს აზერბაიჯანელი ახალგაზრდობა სიხარულით აღნიშნავს თავისი უნივერსიტეტის 40 წლისთავს.

1919 წლის 15 სექტემბერს ჩაეყარა საფუძველი აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტს. იგი გაიხსნა 1920 წელს, თავდაპირველად როგორც ბაკოს უნივერსიტეტი, რომელშიც იყო სამედიცინო და ისტორიულ-ლიტერატურული ფაკულტეტები. 1924 წლიდან იგი ატარებს აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ხოლო 1934 წლიდან ს. მ. კიროვის სახელობის აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელს.

1922 წლისათვის უნივერსიტეტში მხოლოდ ოთხი ფაკულტეტი იყო. აშუამად კი 8 ფაკულტეტია: ისტორიის, აღმოსავლეთმცოდნეობის, იურიდიული, ფილოლოგიის, ფიზიკა-მათემატიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, და გეოგრაფია-გეოლოგიის. უნივერსიტეტში არის ხალამის განყოფილება მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის სპეციალობებით და დაუსწრებელი განყოფილება მათემატიკის, ისტორიის, რუსული ენისა და ლიტერატურის, აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის, ეკონომისტიკის, სამართლისმცოდნეობის, ბოტანიკის, ზოოლოგიის, გეოგრაფიის, ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის სპეციალობებით. უნივერსიტეტში სწავლობენ ნარმოებს აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე.

1944 წელს აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაიხსნა მათემატიკისა და ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

საბჭოთა სახელმწიფო მისი არსებობის პირველი დღეებიდანვე განუხრელად ზრუნავს ჩვენს ახალგაზრდობაზე, მის აღზრდაზე, სწავლა-განათლებაზე.

სხვა მრავალთა შორის ამის საუკეთესო მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ს. მ. კიროვის სახელობის აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტიც, რომელიც ყოველწლიურად იზრდება.

1934 წელს აზერბაიჯანის უნივერსიტეტში არსებობდა მხოლოდ 13 კათედრა, აშუამად კი 54 კათედრაა. გარდა ამისა მის განკარგულებაშია 36 ლაბორატორია და კაბინეტი, 2 მეზეუმი, სახელსნონები, ბიბლიოთეკა (500 ათასზე მეტი წიგნით), გამომცემლობა და სტამბა, რომელიც რეგულარულად უშვებს აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებს, როგორც აზერბაიჯანულ ისე რუსულ ენებზე, აგრეთვე ცალკეულ სამეცნიერო შრომებსა და სახელმძღვანელოებს.

1957-58 წწ. აზერბაიჯანის უნივერსიტეტში სწავლობდა ხუთი ათასი სტუდენტი. აქ ლექციებს კითხულობდნენ ისეთი გამოჩენილი მეცნიერები, როგორც იყვნენ ნ. მარი, ი. მეშჩანინოვი, ს. ბარტოლდი და სხვები.

ყოველწლიურად ტარდება პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო სესიები. დიდი ადგილი უჭირავს სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას.

აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტში არის ლექტორიუმი, რომელიც ავრცელებს პოლიტიკურ და მეცნიერულ ცოდნას, როგორც ბაკოს, ისე მთელი რესპუბლიკის მშრომელთა ფართო მასებში.

აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტი მაღალკვალიფიციური რაციონალიური კადრების მომზადების მსხვილ ცენტრად გადაიქცა, იგი კადრების ნამდვილი სამჭედლოა.

აზერბაიჯანელი ახალგაზრდობის სიხარულს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებიც ეზიარებენ, რადგან ამ უნივერსიტეტებს განსაკუთრებული გულისხმიერი მეგობრობა აკავშირებს ერთმანეთთან.

ჩვენც მივესალმებით აზერბაიჯანელ მეგობრებს და ვფლიცავთ მათი მშობლიური უნივერსიტეტის 40 წლისთავს.

ანზორ სიხარულიძე,
ისტორიის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი

ზაფხულის საქმე

ასრულდა ჩემი ოცნება

1958 წელს დავამთავრე ყვარლის რაიონის სოფელ ახალოფლის საშუალო სკოლა და გამოცდებს ვაბარებდი უნივერსიტეტში, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, მაგრამ ვერ ჩავრიცხე.

დავბრუნდი თუ არა სოფელში, შეშობა დავიწყე კოლმეურნეობაში, სადაც ნახევარი ჰექტარი ვენახი და ერთი ჰექტარი სიმინდი გავიპირონე. მოსავლელად და ხეხვა მოსავალი მივიღე.

ვმეშობდი კოლმეურნეობაში და თან სისტემატურად ვმეცადინეობდი — ვემზადებოდი. მოსაღები გამოცდებისათვის, სპეციალობა წელსაც გერმანული ენის სპეციალობაზე შევიტანე. დიდწყო გამოცდებიც, პირველად გერმანული ენა ჩავაბარე და ფრიადი მივიღე. სპეციალობაში — ფრიადის მიღებამ ფრთები შეესხა და უფრო.მეტი მონდომებით მოვემზადე დანარჩენ საგნებშიაც. დამთავრდა გამოცდები, სამი მარადიულებელი საგნიდან მოვაგროვე თითქმეტი ქულა, რის შედეგადაც ასრულდა ჩემი ოცნება—ვაკვე უნივერსიტეტის სტუდენტი ვარ.

ახლა ჩემი უპირველესი მიზანია წარმატებით ვისწავლო და გავამართლო აღმზრდელების ნდობა, დავფაფო მათი ამაგი.

ზურაბ ოლიაშვილი.

დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი.

ᲛᲔ ᲨᲔᲜᲘᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲕᲔᲚᲔᲕᲘ

ქართული ენა და ლიტერატურა თავიდანვე იყო ჩემი საყვარელი საგანი. მას, უბრალოდ, შშობლიურ ლიტერატურას ეუწოდებდით... და, მართლაც შშობლიური იყო ჩემთვის ტკბილხმოვანი, მრავალჭრიაშოვლილი, ფუსფუსავარი ქართული ენა და ამ ენაზე შექმნილი ქართული ლიტერატურა. თავიდანვე მიტაცებდა მისი ყოველი საკითხი, მისი კლასიკოსები— ეკვდავი შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი... მათ ჩამინერგეს უდიდესი სიყვარული შშობლიური ლიტერატურისადმი, ენისადმი. ამიტომაც არჩევანი აქ შევაჩერე, თუმცა თავი დიდხანს არ მიტანია პროფესიის არჩევაზე, გულმა მიკარნახა... მიკარნახა და შეც ისე მოვიქეცი...

უკმად არ ჩაიარა ლამეების თევამ, ფიქრმა და ოცნებამ... დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი ვარ.

პირველი სექტემბერი... წინ კვლავ ახალი ძიებები, ღამეების თევა, სიხარული და სიყვარულით აღსავსე დღეები. დღეს კი, სიხარულით აღსავსემ, მხოლოდ ეს მინდა ვთქვა: მადლობა შენ, ჩემო შშობლიურო ენავ, ასე რომ შემაყვარე თავი.

მე შენს სიყვარულს ვერ შეველევი...

ავთანდილ გურგენიძე.

ფილოლოგიის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი.

ᲒᲖᲐ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲓᲐ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘᲐᲜᲘ

ასრულდა ჩემი ოცნება—გავხდი ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი. რამდენ სიხარულსა და აღტაცებას განვიცდი მე ამ დღეებში... ეს ჩემს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ნაბიჯია! ახლა ჩემს წინ გადაშლილია ნაყოფის მომცემი, შინაარსით აღსავსე დიდი და ფართო გზა, რომელიც მეცნიერების უმაღლესი მეზვერავლებისაკენ მიდის.

ჩემს მეხსიერებაში წარუშლელად დარჩება 1 სექტემბერს მეცნიერების დოქტორმა მოსწავლეთ მხცოვანი მეცნიერის კორნელი კეკელიძის პირველი ლექციაობარი, რომელიც სტუდენტური ცხოვრების მომავალი ხუთი წლის საგზურს წარმოდგენს...

ეს დასაწყისია; ჩვენ მდორე მდინარიდან შეეცადოთ აქოფებულ, მძლავრ მდინარეში და, თუ ძალთა მთელი დაძაბვით არ შეეგბრძოლეთ მის მჩქეფარე ტალღებს, ისე ვერ გავიმარჯვებთ.

ამიტომ უპირველესად უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი საქმის გადალახვა მოითხოვს თავდადებულ შრომასა და გარჯას.

მაშ, ძვირფასო თანაკურსელებო, ეიყოთ ჩვენი დიდი ტაძრის სახელოვანი შვილები, ტაძრისა, რომელმაც აგვამაღა სულით და გონებითაც აგვამაღლებს, ეიყოთ ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების ამაგის დამფასებელნი და პატივისმცემელნი.

ყოველივე ჩვენზეა დამოკიდებული, მეგობრებო!

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲫᲘᲫᲔ,

ფილოლოგიის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲙᲣᲠᲡᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ

ამა წლის 4 სექტემბერს ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო დარბაზში ჩატარდა შეხვედრა პირველკურსელ სტუდენტებთან. მოსასმენებელი სიტყვით გამოვიდა უნივერსიტეტის რექტორი აკადემიკოსი ვ. ხარაძე. მან უნივერსიტეტის რექტორატის პარტორგანიზაციის, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციის, პროფესორ მასწავლებლების სახელით პირველკურსელებს მიეფიცა ახალი სასწავლო წელი და უსურვა ახალი წარმატებები სწავლაში, შრომასა და საზოგადოებრივ მეშობაში.

უნივერსიტეტის აღაკ კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. სანებლიძემ შეხვედრის მონაწილეებს „გაიცნო საქართველოს კომპარტიისა და მინისტრთა საბჭოს მიმართვა-მილოცვა ჩვენი მოსწავლეობა-ახალგაზრდობისადმი.

შეხვედრაზე გამოვიდა უნივერსიტეტის პროფესორი ვარლამ თოფურია, რომელმაც თავის სიტყვაში მტკიცე აზრი გამოთქვა, რომ სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის დამყარდება მჭიდრო კონტაქტი. მეგობრული ურთიერთდამოკიდებულება, რაც ხელს შეუწყობს საერთო საქმეს.—პროფესორ-მასწავლებლები, — აღნიშნა ვ. თოფურიამ, — თავიანთ ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რათა მთელი შესაძლებლობით შეაყვარონ და შეისწავლონ ჩვენს სტუდენტებს ყველა საგანი.

პირველკურსელებს მიესალმა ფილოლოგიის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი — სტალინური სტიპენდიანტი ა. ალქასიძე.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ პირველკურსელები: ი. ნანაძე (საწარმოო სტაჟით), და მ. საბაშვილი (ოქრომ ბედლოსანი). მათ თავიანთი ამბანაგების სახელით შეხვედრის მონაწილეებს პირობა მისცეს, რომ ისწავლიან და იმრომებენ ისე, როგორც ამას მათგან ჩვენი სოციალისტური საშობლო მოითხოვს.

მისალები გამოცდების წარმატებით ჩაბარებამ და კონკურსში გამარჯვებამ ახალი ძალა შემატა პირველკურსელებს. ისინი ყველანი ერთი გადაწყვეტილებით მოვიდნენ: ისწავლონ ფრიადზე და ისახელონ თავი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: პირველკურსელ სტუდენტთა ერთი ჯგუფი.

ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲘᲡ ᲓᲐᲣᲕᲘᲬᲧᲐᲠᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ

დამთავრდა ზაფხულის სგამოცდ სესიები და ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები უკვე მზად ვიყავით სასწავლო პრაქტიკისათვის.

ჩვენ, მესამეკურსელებს, პირველი, ოცდღიანი პრაქტიკის გავლა მოგვიხდა ლაგოდეხის შესანიშნავ ნაკრძალში.

ივნისის პირველი რიცხვებია. პრაქტიკანტებით დატვირთული მანქანა გასცდა თბილისის მიდამოებს, „აკითხულობ ქალაქის გასასვლელთან აღმართულ თაღზე. კილომეტრების მიჩენებელ ფარზე თბილისიდან ლაგოდეხამდე 171 რიცხვია აღნიშნული. მიჰქრის მანქანა. გავიარეთ ლოჭინის ხეობა, იქ სადაც ერთ დროს ვერაგი სპარსი შაჰის შიკრიკი შეიპყრო გიორგი საკაძემ, უკან მოვიტოვეთ ქსერეფტებით მოფენილი ვაზიანის ველები.

მანქანიდან ფულმოდგინედ ვათვალიერებთ კახეთის კეთილშობილ დასახლებულ ადგილს—სიგნაღელს, კაჭრეთს, ბაკურიანს... მარცხნივ მოჩანს ცივგიმბორის წარმტაცი მთები, მარჯვნივ ნიღნაღი, თავისი ძველი ციხითა და ეკლესიით. საქართველოს ამ მაღლიან მხარეს კახური ქუდივით რომ დაუხურავს.

გზა მარჯვნივ უხვევს ლაგოდეხისაკენ, ზედიზედ გადაკეტილი სოფლები — კარდანახი, ანაგა, ვაქირი, სკეობო. შეეგდით წნორში. თვალწინ იშლება ალაზნის შესანიშნავი ველი.

„...ფრიად ნაყოფიერი ყოველითა მარცვლითა, ვენახითა, ხილითა, პირტუყვითა, ნადირითა, ფრინველითა და თევზითა“.—ასე აქვს იგი აღწერილი ფიდ ქარ-თველ ეგეოგრაფს—ვახუშტი ბაგრატიონს, თავის ცნობილ წიგნში—„აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. წნორიდან ლაგოდეხამდე ორმოციოდე კილომეტრია. მანქანიდან გაკეკერნი ოქროსფერი პურის ყანებს, რომელიც თვალუწვდენელ სივრცეზე გადაფენილა. უკვე მუშაობა დაუწყიათ კომბაინებს, იღებენ უხვ მოსავალს.

შეკდიკარი სოფლებში, ბულს სიამეს ფენს კარგად მოგლილი და ბახრებული ბალ-ვენახები. სხვადასხვა ფერად მოჩანს ალვებლის, ბლისა და ეკრმის დამწიფებული ნაყოფები; ვაშლისა და მსლის დახუნძლული ტოტები სიმძიმეს ვერ უძლებენ; ისინი შვილდ-ისარივით მოხრილან. ბალჩები წყთლად მოციმციმე პამიდორს დაუმშვენებია. ზვრებში მუშაობაა გახურებული.

მანქანამ ნელა გადაკრა ალაზნის ფართო ხიდი და მალე ლაგოდეხში შესრულდა.

დავბინავდით ლაგოდეხის საშუალო სკოლის შენობაში, სადაც კარგად მოვეწყვეთ. მეცნიერების გასარკვევად და ლაბორატორიული პრაქტიკულ მუშაობის ჩასატარებლად უფლება მოგვეცეს გვესარგებლა სკოლის ბოტანიკის კაბინეტით.

ლაგოდეხში ჩასვლის მეორე დღიდანვე ვიწყებთ ველად გასვლას. ხელმძღვანელობას გვიწევს დოც. შ. კახაძე.

—ლაგოდეხის ნაკრძალის ფლორისტული შემადგენლობა—გვიხსნის ხელმძღვანელი, დიდად საინტერესოა. აქ, შედარებით პატარა ტერიტორიაზე (ნაკრძალს უკავია 13,500 ჰექტარი) წარმოდგენილია საქართველოს ფლორის სახეობათა დაახლოებით ერთი მეოთხედი ნაწილი, რომელთაგან ზოგიერთი ენდემურია; არის რელიქტური ჯიშებიც. ამიტომ ეს ადგილი მთავრობის მიერ ნაკრძალად არის გამოცხადებული და მიჩნეულია როგორც ბუნების ძეგლი, სადაც მიღებულია ყოველგვარი ზომები ფლორის დაცვისა და ფაუნის დასაცავად და გასაფართოვებელად.

სასწავლო პრაქტიკის პერიოდში ჩვენ რამდენჯერმე მოვწყვეთ ბოტანიკური ექსკურსია და შეეგროვეთ ძვირფასი მასალა. ხელმძღვანელის დახმარებით და ზშირად დამოუკიდებლადაც, ვახდენდით მცენარეთა ოჯახების გვარებისა და სახეობების გამორკვევასა და დადგენას. დავამზადეთ ჰერბარიუმები, რომლებიც ჩამოვიტანეთ უნივერსიტეტში როგორც სასწავლო მასალა პრაქტიკუმების გავლის დროს.

წესად გვქონდა შემოღებული—ერთ დღეს ველად გასვლა, მასალების შეგროვება, მეორე დღეს კი—მეცნიერეების რკვევაზე მუშაობა.

მეტად საინტერესო იყო ჩვენი ბოტანიკური ექსკურსიები. მოკლედ აღვწერ რამდენიმე მარშრუტს:

დღის შვიდ საათზე უკვე მზად ვიყავით გასასვლელად. ამ დღეს ჩვენი ამოცანა იყო მდინარე მაზჩიჩის მიდამოების მეცნიერეულობის შესწავლა. ეს მდინარე წარმოადგენს საზღვარს აზერბაიჯანისა და საქართველოს რესპუბლიკებს შორის; მიეყვებით მდინარის ნაპრის. ჩრდილ ადგილზე შევნიშნეთ მიხაილოვკა თოჯახის წარმომადგენელი. იგი მრავალწლოვანი ბალახოვანი მეცნარეა, მრავალი ღეროთი, ვიწრო ბაზური ფოთლებით და პატარ-პატარა მოთეთრო მოვარდისფრო ყვავილებით.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო ყვითელ-ყვავილოანმა ლამაზმა მეცნარემ, რომელიც ფესვისანად ამოვიღეთ და მოვთავსეთ მცენარეების ჩასაწყობ ჩანთაში. იგი ალმოჩნდა თავყვიფელა, რაც შემდეგ სარკვევის საშუალებით დადგენილი. ეს მცენარე რთულყვავილოვანთა ოჯახიდანაა. მისი ყვავილედი შედგება ყვავილთა ჯგუფისაგან, რომლებიც კალათების მსგავსადაა შეკრული. კალათების კიდეები გრძელი ენისებრი ყვავილებითაა შემორკალული, შიგნით კი ლამაზად სხვადასხვა ფერის ყვავილები, ისე რომ მთლიანი კალთა, ერთი შეხედვით, ერთი ყვავილი ეგონება კაცს.

აქვე ვნახეთ ფარსმანდუკი, რომელსაც სამკურნალოდ იყენებენ ჭრილობებიდან სისხლის შესაჩერებლად.

მდინარის ნაპრის დავისვენეთ ცაცხვის ქვეშ. გვსიამოვნებდა მისი ყვავილების სურნელება. გავიხსენეთ რაც ვიცოდით ცაცხვის შესახებ: რომ იგი ცაცხვისებრთა ოჯახს ეკუთვნის. მისი მოყვითალო სურნელოვანი ყვავილები შეკრებილია ფიფლეულ, გრძელყუნწიან, ნახევრადფიფლიან ყვავილედად. თანაყვავილები ფრთისებრია და მომაგრებულია ყვავილედის ღერზე, ვრცელდება თესლით. ყვავილის ნაყოფი — ანაგა, ნაყოფი — კაკლისებრი. ცაცხვს მრავალგვარი გამოყენება აქვს. მისი ყვავილები იძლევა კარგი ხარისხის თაფლს, აგრეთვე მისგან ამზადებენ ჩაის, რომელსაც სამკურნალოდ ხმარობენ გაცივების დროს. როგორც ოფლს მომგვრელ საშუალებას. ცაცხვის მერქნისაგან ამზადებენ სხვადასხვა საგნებს. ცაცხვი ითვლება დეკორაციულ მცენარედ ბალპარკების გასამშვენიერებლად და სხვა.

კვლავ გზას გავუდექით, ახლა უკვე დაცილდით მდინარეს და აღმართს შეეუდექით. ბუნება შეიცვალა. გზა და გზა გვხვდება ჯაგრცხილები, კუნელისა და თუთუბოს ბეჩვები. აქ სანტერესო იყო მთრთოლავი ვერხვი, რომელიც განპარტოებით იდგა, თუმცა მზე აცხუნებდა და ნიავიც არ იფრქნობოდა, მაგრამ ვერხვის ფოთლები მაინც შრიალებდნენ.

შეედით ტყეში. აქ შეგვხვდა ნეკერჩხლის რამდენიმე წარმომადგენელი—ჩვეულებრივი ნეკერჩხალი და ფართო ფოთლიანი ბოყვი, რომლებიც ხასიათდებიან კარგი ხარისხის მერქნით და გამოყენება აქვთ სადურგლო საქმეში. ბოყვი თაფლოვანი მეცნარეა, მის ფოთლებს ხმარობენ საკონლის საკვებად და სხვა. აქ სანტერესო იყო აგრეთვე მურყანი, რეზინა, კობიტი, კუნელი, შვინდი, ზღმარტი, კეთილი, ბარეული ტყემალი და სხვა, რომელთაგან ავიღეთ ნიმუშები ‘მათს უფრო დეტალურად გამოსარკვევად და ჰერბარიუმის დასამზადებლად.

მდინარე მაზჩიჩის ხეობაში ნაკრძალი შედარებით ნაკლებადაა შენახული, დეტალეთ ტყე და გავეეეეთ პურის ყანების ნაპირებს, აქ ჩვენი ყურადღება მიიპყრო სარეველა მეცნარეებმა, მაგალითად, უნგრეულმა ცერეველამ, ყანის მატკვარაცანამ და სხვა.

დავბრუნდით ბინაზე. შეგროვილი მასალები მოვათავსეთ მეცნარის საშრობ ბადეებში. მეორე დღეს შეეუდექით ლაბორატორიულ მუშაობას—შეგროვილი მასალების რკვევას.

მეტად საინტერესო იყო ჩვენი შემდეგი მარშრუტები ქოჩალოს მთის მიმართულებით, რადგან აქ წარმოდგენილია ლაგოდეხის ნაკრძალის ფლორისტული ნაწილის ყველაზე დამახასიათებელი და კარგად შენახული ნიმუშები.

დილადაადრიან შეეუდექით გზას. ჩვენი გასვლის პუნქტი ზღვის დონიდან 450 მეტრია. ქოჩალის მთის მწვერვალი 3,600 მეტრზეა. შეედეგვართ ტყის სარტყელში. ჩვენ წინ მოვიწევთ სამიგეგი ჯიხებით. უკან ‘მიგზურები მოგვყვებიან ცხენებით, რომელთაც ჩვენთვის მოაქვთ პროდუქტები. ეს მიზეეულ-მოხეეული. აქ მეზიარისათვის საჭიროა მაგარი გული და მარჯვე მუხლი. ყოველ ნაბიჯზე ეკეკლიანი ბუჩქები ეკიდებიან ტანსაცმელს, ფეხებს ეხვევიან ეკალეული ბალახები, ფეხქვეშ ეგებებიან ბასრ ლოდები, ეს ბილიკი ეკეკლიანი ბუჩქებით, ბალახებით, ლოდებით ეფარებოდა ბილიკს. ეს ბილიკი ეკეკლიანი ბუჩქებით, ბალახებით, ლოდებით ეფარებოდა ბილიკს. ეს ბილიკი ეკეკლიანი ბუჩქებით, ბალახებით, ლოდებით ეფარებოდა ბილიკს. ეს ბილიკი ეკეკლიანი ბუჩქებ



ᲛᲔᲠᲘ ᲙᲔᲠᲫᲘᲫᲔᲕᲐᲫᲔ

ᲙᲐᲠᲒᲘ ᲮᲐᲠᲝ

ᲙᲐᲠᲒᲘ ᲮᲐᲠᲝ, ᲙᲐᲠᲒᲘ ᲮᲐᲠᲝ, —
ᲒᲐᲜᲐ ᲛᲐᲠᲗᲔᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲕᲐᲠ?
ᲠᲐᲪᲐ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲕᲘᲮᲐᲠᲗ
ᲔᲠᲗᲘᲡ ᲪᲘᲪᲕᲚᲔᲡ ᲭᲐᲚᲔᲡ ᲕᲐᲠ.

ᲩᲣᲛᲐᲓ ᲕᲣᲪᲘᲚᲔᲠ ᲨᲔᲜᲡ ᲤᲐᲜᲯᲐᲠᲐᲡ,
ᲛᲔ ᲘᲡᲘᲪ ᲙᲘ ᲛᲐᲮᲐᲠᲑᲚ.

ᲙᲐᲠᲒᲘ ᲮᲐᲠᲝ, ᲫᲚᲘᲔᲠ ᲙᲐᲠᲒᲘ, —
ᲠᲐ ᲕᲥᲜᲐ? ᲠᲐᲡ ᲛᲘᲠᲩᲔᲛᲔᲑᲘ?
ᲛᲔ ᲕᲘᲪᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲡᲔ ᲙᲐᲠᲒᲘ
ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲨᲔᲜ ᲒᲘᲩᲕᲘᲜᲔᲑᲘ.

ᲪᲔᲚᲘᲐ ᲕᲐᲠ ᲓᲐ ᲙᲐᲤᲔᲜᲓᲐᲠᲐ,
ᲨᲔᲜᲖᲔ ᲤᲘᲥᲠᲘ ᲛᲐᲬᲕᲐᲚᲔᲑᲡ,
ᲛᲔ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲮᲐᲠ
ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲨᲔᲜ ᲒᲘᲩᲕᲘᲜᲔᲑᲡ.

ᲤᲐᲜᲯᲐᲠᲘ

ᲠᲝᲪᲐ ᲝᲗᲐᲮᲨᲘ ᲓᲐᲛᲘᲪ ᲩᲣᲛᲘ,
ᲨᲝᲠᲡᲚ, ᲢᲧᲔᲨᲘ, ᲔᲚᲑᲐᲗ, ᲓᲛᲘᲗᲘ ᲐᲤᲗᲝᲠᲘ
ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲜᲗᲝᲜᲐ ᲜᲐᲗᲣᲠᲐ ᲩᲣᲛᲘ
ᲓᲐ ᲗᲣᲗᲠ ᲙᲐᲚᲔᲚᲓᲖᲔ ᲓᲐᲓᲘᲡ ᲤᲐᲜᲯᲐᲠᲘ.

ᲓᲔᲓᲐᲕᲣᲠᲣᲜᲯ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲣ ᲛᲘᲢᲧᲣᲘᲡ ᲠᲐᲛᲘᲗ,
ᲩᲣᲛᲘᲗᲐᲜ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲡᲐᲠᲘᲗ
ᲩᲣᲛᲘᲗᲐᲜ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲖᲐᲝᲒᲝᲡᲢ-ᲖᲐᲛᲝᲡᲐᲠᲘ,
ᲚᲔᲥᲡᲘᲗᲐᲜ ᲑᲘᲓᲘᲔᲚᲘ ᲖᲐᲝᲒᲝᲠᲗᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲔᲚ
ᲛᲔ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲛᲣᲥᲘ ᲤᲐᲜᲯᲐᲠᲘ.

ᲠᲝᲪᲐ ᲧᲕᲐᲕᲘᲦᲔᲑᲘᲗ ᲐᲘᲕᲡᲔᲑᲝᲛᲓᲐ ᲑᲐᲑᲣᲐᲡ ᲑᲐᲚᲘ...

ᲐᲢᲛᲘᲡ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲘᲗ,
ᲐᲚᲣᲑᲚᲔᲡᲘ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲘᲗ,
ᲐᲘᲡᲕᲔᲑᲝᲛᲓᲐ ᲑᲐᲑᲣᲐᲡ ᲑᲐᲚᲘ.
ᲡᲘᲗᲝᲑᲘᲡ ᲣᲛᲐᲪᲣᲚᲔᲑᲐ ᲛᲫᲘ.
ᲨᲔᲜ ᲐᲢᲛᲘᲡ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲘ ᲛᲒᲐᲕᲓᲔ,
ᲠᲐᲓᲒᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲘᲡ—ᲛᲔ.

ᲒᲕᲘᲧᲕᲐᲠᲓᲐ ᲡᲘᲪᲘᲚᲘ,
ᲒᲕᲘᲧᲕᲐᲠᲓᲐ ᲡᲘᲠᲜᲘᲚᲘ
ᲢᲧᲔᲨᲘ ᲗᲣ ᲯᲘᲚᲘᲡᲨᲘ.

ᲩᲐᲒᲘᲪᲘᲢᲘᲐ ᲡᲐᲗᲐᲕᲔ ᲬᲘᲚᲘᲡᲬᲘᲚᲘ,
ᲔᲚᲔᲠᲗ ᲛᲘᲒᲣᲡᲣᲚᲔᲗᲐᲠᲗ, ᲨᲘᲨᲘᲗ ᲛᲘᲠᲘᲗ ᲨᲘᲜ.

ᲒᲕᲘᲧᲕᲐᲠᲓᲐ ᲡᲘᲛᲔᲠᲘᲐ,
ᲠᲝᲪᲐ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲘᲗ
ᲐᲘᲡᲕᲔᲑᲝᲛᲓᲐ ᲑᲐᲑᲣᲐᲡ ᲑᲐᲚᲘ.
ᲡᲘᲗᲝᲑᲘᲡ ᲣᲛᲐᲪᲣᲚᲔᲑᲐ ᲛᲫᲘ...
ᲨᲔᲜ ᲐᲢᲛᲘᲡ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲘ ᲛᲒᲐᲕᲓᲔ,
ᲑᲠᲬᲧᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲡ—ᲛᲔ.

ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲑᲝᲠᲝᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲓᲠᲝᲘᲗᲐᲜ ᲒᲐᲮᲚᲘᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ. ᲔᲑᲐᲠᲣᲚ ᲑᲘᲜᲓᲘᲪᲘᲨᲘᲪ ᲙᲘ ᲐᲮᲚᲘ ᲨᲔᲣᲮᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲐᲮᲐᲠᲘᲪᲮᲕᲐᲜᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲔᲚᲘ. ᲛᲘᲡᲜᲔᲠᲘᲜᲗᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲑᲠᲫᲝᲜᲗᲐ ᲛᲣᲨᲠᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲖᲘᲡᲐᲛᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲔᲚᲘ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲘᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲬᲘᲡᲘᲗ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲕᲠᲝᲑᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲔᲑᲝᲑᲓᲐ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲠᲘᲜᲐᲪᲕᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲓᲐᲪᲕᲚᲘᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲪᲮᲝᲠᲒᲠᲫᲔᲚᲝᲑ

ჩვენი კონკურსი

ამჟამად იუგოსლავიის კურორტ ბლედში მიმდინარეობს დიდი საჭადრაკო შეჯიბრება—მსოფლიოს ჩემპიონთან მატჩში შეხვედრის უფლების მოპოვებისათვის. მასში მონაწილეობს მსოფლიოს 8 უძლიერესი მოჭადრაკე—საერთაშორისო დიდოსტატები: მსოფლიოს ექსჩემპიონი სმისლოვი (სსრკ), კერესი (სსრკ), პეტროსიანი (სსრკ), ბენკო (აშშ), გლიგორიჩი (იუგოსლავია), ოლაფსონი (ისლანდია), ფიშერი (აშშ), ტალი (სსრკ).

იმდენად, რამდენადაც ტურნირი ჩატარდება ოთხ წრად, იგი წარმოადგენს მის ცალკეულ მონაწილეთა შორის გამართულ მატჩებსაც, რომლებშიაც სულ თვითეულმა მოთამაშემ 28 პარტია უნდა გითამაშოს, ეს გარემოება თვითეული მონაწილისაგან დიდ გამძლეობასაც მოითხოვს.

მთელი მსოფლიოს ჭადრაკის მოყვარულნი გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს მატჩ-ტურნირის მსვლელობას. ყველა მათგანი აკეთებს თავის-თავის პროგნოზს, თუ ვინ მოიპოვებს მსოფლიო ჩემპიონთან შეხვედრის უფლებას. ამ შემთხვევაში ზოგი ხელმძღვანელობს იმით, თუ ვისი გულშემატკივარია იგი, ზოგიც ცალკეული მოთამაშის რეალურ შესაძლებლობებს ეყრდნობა და ა. შ.

ამასთან დაკავშირებით, ჩვენი გაზეთის რედაქცია აცხადებს კონკურსს, თუ ვინ უფრო სწორ პროგნოზს დასვამს შემდეგ კითხვებზე: 1. ვინ გამოვა გამარჯვებული ამ შეჯიბრებაში და 2. ცალკეულ მონაწილეთაგან ხაერთო ანგარიშში ვისთან მოიგებს იგი მატჩს, ვისთან დაამთავრებს ფრედ და ვისთან წაგებებს.

კონკურსში მონაწილეებმა თავიანთი პროგნოზები რედაქციაში უნდა წარმოადგინონ ა/წ. 16 სექტემბრამდე.

იმ პირებს, რომელთა პროგნოზებიც ყველაზე უფრო სწორი აღმოჩნდება, გადაეცემათ სიგელები და მათი გვარები გამოქვეყნდება გაზეთში.

ეროვნული ფერწერა

ისტორიის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები, თანამშრომლები და სტუდენტი ახალგაზრდა უდიდესი ენერგიით, მონდომებითა და ენთუზიაზმით ცდილობენ თავიანთი წვლილი შეიტანონ იმ დიდი ამოცანების გადაჭრაში, რომლებიც ჩვენი ქვეყნის მშრომელთა წინაშე დაეყენეს XXII ყრილობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებებმა.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ინიციატივით ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების სისტემის გარდაქმნის შესახებ გატარებულ ღონისძიებებს, რაც თეორიული სწავლების პრაქტიკულ საქმიანობასთან დაკავშირებაში, სკოლასა და წარმოებას შორის კავშირის განმტკიცებაში, მოსწავლე ახალგაზრდებს შორის შრომითი ჩვევების გამოშუავებაში მდგომარეობს, ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტებმა საქმით უპასუხეს.

ჯერ კიდევ გასული სასწავლო წლის 1 სემესტრშივე, ნაყამრიდან სახელოვან შრომითი წარმატებებით დაბრუნების შემდეგ, სტუდენტებმა გადაწყვიტეს შეექმნათ შრომითი ბრიგადები. ამ შესანიშნავი საქმის ინიციატორებად გამოვიდნენ პირველ რიგში I და II კურსის სტუდენტები.

ფაკულტეტის კომკავშირის ბიურო (მდივანი რ. მეტრეველი) და პროფკავშირის ბიურო (თავმჯდომარე დ. კასანაძე) პარტიული ორგანიზაციის დახმარებით იმთავითვე სათავეში ჩაუდგნენ ახალგაზრდობის ამ ინიციატივას. შეიქმნა. ორი შრომითი ბრიგადა, რომელთა წევრებმა, როგორც ეს არავრთხელ იყო აღნიშნული ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, წარმატებთან გამოიჩინეს თავი შობლიური თბილისის ქუჩებისა და გარეუბნების კეთილმოწყობის, გამწვანებისა და სხვა სამუშაოებზე.

ყველაზე სასახელო მაინც ისაა, რაც ზაფხულის არდადეგების პერიოდში გაკეთდა. მომავალ ისტორიკოსთა უმრავლესობამ სასწავლო წლის პერიოდშივე გადაწყვიტა ზაფხული გაეტარებინა შშობლიური სოფლებისა და ქალაქების კოლმეურნეობებში, წარმოება-დაწესებულებებში და როდესაც ჩვენმა სტუდენტებმა შეიტყო, რომ ისინი ზაფხულის არდადეგებზე ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და შუნებლობებზე იმუშავებდნენ, მათ სურვილი განაცხადეს სამუშაოდ წასულიყვნენ ზუგდიდის რაიონის ს. ზედაზნის საბჭოთა მეურნეობაში.

150 განცხადებაზე მეტი შემოვიდა დეკანატს, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ბიუროების სახელზე. ახალგაზრდები მასობრივად აცხადებდნენ სურვილს საბჭოთა მეურნეობაში წასასვლელად.

ვალდებულება განაღდებულია

ისტორიკოსს, მოწონაეთა შორის მოწონაეე ქალიშვილსა და ჭაბუკს, მიეცა საგზური მეურნეობაში წასასვლელად.

30 ივნისს, საზაფხულო სესიების დამთავრების შემდეგ, 93-ე აუდიტორიაში შეიკრიბნენ ზუგდიდის რაიონში მიმავალი სტუდენტები. მათ სიტყვით მიმართეს ჩვენი უნივერსიტეტის რექტორმა პროფ. ე. ხარაძემ და პარტიული კომიტეტის მდივანმა დოც. გ. ჯანუყავიძემ. მომავალმა ისტორიკოსებმა პირობა დაიეს, რომ თავდადებით იშრომებდნენ და კიდევ ერთხელ ასახელებდნენ შშობლიურ უნივერსიტეტს.

ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი ახალგაზრდობა დღეს სიმაყით უცქერის უნივერსიტეტის რექტორატს, პარტიულ და კომკავშირულ კომიტეტებს, რომ პირობა განაღდებულია.

ფაკულტეტის მოწონაეე თანამშრომლების, ამხანაგების—გივი შველიძის, ნოდარ ასათიანისა და გივი მელიქიძის უნარიანი ხელმძღვანელობით სტუდენტმა ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა, რომლებიც 6 ბრიგადად იყვნენ დაყოფილი, 28 დღის განმავლობაში საწარმოო დავალება 200%-ით შეასრულეს.

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოუცდელი ახალგაზრდების მიერ მაღალი შრომითი წარმატებების მოპოვება მნიშვნელოვნად განაპირობა იმ გარემოებამ, რომ მათ რიგებში მუშაობდნენ ყაზახეთის ველებზე შრომაში გამოწრთობილი, მედღებით — „ყაზირი და ნასვეი მიწების ათვისებისათვის“ დაჯილდოებული სტუდენტები — კარლო ქურდაძე, ნოდარ ნინიკაშვილი, ვლადიმერ ლომსაძე, ს. გადილია და სხვები. შრომითი ინიციატივის გამოჩენით ახალგაზრდობას აღაფრთოვანებდნენ ისტორიის ფაკულტეტის ალკა ბიუროს მდივანი—როინ მეტრეველი, კედლის გაზეთის—„საბჭოთა ისტორიკოსის“ რედაქტორი—ირიდიონ გუგუშაშვილი, ალკა კურსბიუროს მდივანი—ზაურ გამყრელიძე, პარტბიუროს წევრი გურგენ ჯოშვილი და სხვ.

ბრიგადაში თვითეული წევრი იმ მისწრაფებით ცხოვრობდა, რომ რაც შეიძლება მეტი და მეტი შრომითი წარმატებები მოეპოვებინათ. ყველა მათგანის დასახელება ძნელია. ვ. ხერკელაძემ, რ. ხელაძემ, გ. ეკანიამ, ს. ქურდაძემ, გ. ნარსიამ, ვ. ცერცვაძემ, შ. გიორხელიძემ, ა. დევდარიანმა, თ. სტურუამ, ი. აზნაურაშვილმა, ნ. ზაქარიაძემ, ნ. თედიაშვილმა, მ. ვაჭარაძემ, გ. კვიტაიშვილმა, ა. ბეალავამ, ქ. გოგსაძემ, გ. სუბეულიანმა, ვ. ჩემიამ, ო. ხიზანიშვილმა, გ. ცანდიშვილმა, ა. მუმკუდიანმა, ნ. თაბაგარმა, ვ. ჯაფარიძემ, გ. ყალიჩავამ, ნ. მაჭარაშვილმა, ზ. მატბერაშვილმა, ზ. რატიანმა, მ. ლეთოლიანმა, უ. მდინარაძემ, გ. ზალაშვილმა, ზ. მარჩიანემ, ა. შენგელიამ და სხვებმა სწორედ ასეთი მოწონაეე სტუდენტების სახელი დიამსახურეს. ისინი ყოველდღიურ დავალებებს 250—300%-ით ასრულებდნენ და ამავე დროს მაღალი შრომითი დისციპლინის მაგალითებს იძლეოდნენ.

საბჭოთა მეურნეობაში თავდადებული და პატიოსანი შრომით თავი გამოიჩინეს არა მარტო ვაჟებმა, არამედ ქალიშვილებმაც, მათ შორის განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსნი არიან ქსენია ჩოღოშვილი, ანეტა ცინდელიანი, ნორა ოთხვანი, მედეა ნადირაძე, რომლებიც ჩაის კრეფის დღიურ დავალებებს 150—160%-ით ასრულებდნენ.

მომავალი ისტორიკოსების მამაცური შრომის შედეგად ზედაზნის საბჭოთა მეურნეობაში მრავალი თვალსაჩინო სამეშაო იქნა შესასრულებული ჩვენი სტუდენტების მიერ იქ ნამდვილად რომ ყამირი იქნა გატეხილი. ასე მაგ: მათ გაჩეხეს ტყეები და სპალნტაკედ მოაშზადეს ნიადაგი 86800 კვ. მეტრის ფართობზე; 96 500 კვ. მეტრზე ამოძირკვეს გაჩეხილი ტყე და მოაზდინეს ნიადაგის სრული გაწმენდა; გათოხნეს და ეკალ-ბარდისაგან გაწმინდეს ჩაის პლანტაცია 73 700 კვ მეტრის ფართობზე; მოკრეფეს 1500 კგ-მდე ჩაის მწვანე ფოთოლი.

მომავალი ისტორიკოსები შრომასთან ერთად კულტურულადაც ისვენებდნენ. მეურნეობაში ჩასვლისთანავე მათ ჩამოაყალიბეს ფეხბურთის, ფრენბურთის და კალათბურთის გუნდები, სიმღერისა და ცეკვის წრე; ისინი ხშირად მართავდნენ სპორტულ შეჯიბრებებს ადგილობრივ გუნდებთან; შრომის შემდეგ ომახიანად გაისმოდა ტკბილი ქართული სიმღერები, სრულდებოდა ვაქაცური ქართული ცეკვები. ტყუილა კი არ ამბობენ ზედაზნიდან დაბრუნებული ჩვენი სტუდენტები: „ეს არა მარტო შრომა, არამედ აქტიური დასვენება იყოო“.

თავიანთი შრომითი ვალდებულების პირნათლად განაღდების შემდეგ ისტორიის ფაკულტეტის ქალიშვილები და ჭაბუკები სიამაყით დაუბრუნდნენ ჩვენი მშობლიური უნივერსიტეტის აუდიტორიებსა და სასწავლო კაბინეტებს. ისინი პირობას დებენ, რომ თავადდებული სწავლითა და შრომით კვლავაც ასახელებენ უნივერსიტეტსა და ფაკულტეტს.

ზაქარია ზველიძე,
ისტორიის ფაკულტეტის პარტიული ბიუროს მდივანი.

სატელეფონო თამაგი

შაქარი

ადამიანს ბავშვობიდანვე უყვარს შაქარი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მისთვის, განსაკუთრებით გონებრივი მუშაობის დროს.

ჩვენი წინაპრები შაქრის მაგიერ ხბარობდნენ თაფლს, ხილს..

სამხრეთის ქვეყნებში შაქარი მიიღება შაქრის ლერწმისაგან. ჩრდილოთში—შაქრის ჭარხლისაგან.

შაქრის დამზადება პირველად ინდოთში დაიწყეს, შემდეგ კი ჩინეთში; ამას ადასტურებს შაქრის ინდური სახელწოდება—„საკჯარა“, საიდანაც შემდეგში მიღებულ იქნა ქართული „შაქარი“, რუსული „სახარ“, ინგლისური „შუგარ“, გერმანული „ზუკერ“ და ა. შ. ალექსანდრე მაკედონელის მეგობარი ინდოეთში პირველად გაეცნენ შაქარს, ხოლო ბოტანიკოსმა თეოფრასტემ აღწერა შაქრის ლერწამი.

ევროპელებმა ეს ინფორმაცია XII საუკუნეში. იგი შემოტანილ იქნა ჯვაროსნული ლაშქრობების შედეგად. შაქრის მოხმარება განსაკუთრებით დიდდება XVII საუკუნეში, როდესაც ევრობაში ჩაი და ყავა შემოიტანეს.

შაქრის მსოფლიო პროდუქციის ნახევარს იძლევა შაქრის ლერწამი, მეორე ნახევარს კი—შაქრის ჭარხალი.

კულტურული ჭარხალი ცნობილი იყო ჯერ კიდევ ორი ათასი წლის წინათ. იგი რუსეთში მოხვდა დამახინჯებული ბერძნული სახელით—„სფეკალი“, აქედან მისი რუსული სახელწოდება „სვეკლო“.

შაქრის ჭარხალი დიდხანს ბოსტნეულ მცენარედ ითვლებოდა. მასში შაქარი აღმოაჩინეს მხოლოდ 1747 წელს. შაქრის პირველი ქარხანა რუსეთში გაიხსნა 1800 წელს, სოფ. ალბიეევოში (ტულის გუბერნია). 30 წლის შემდეგ შაქრის ქარხნების რაოდენობამ რუსეთში ოცს მიაღწია, 1848 წელს კი—340-ს. თუ როდის შემოვიდა შაქარი საქართველოში, ჯერ დადგენილი არ არის. მაგრამ ქართველები შაქარს ევროპელებზე გაცილებით ადრე იცნობდნენ. სულხან საბა ორბელიანის ცნობით „შაქარი ინდოეთისა ენითა თაფლით შეყინებული ითქმის“ და შაქარს ხმარობდნენ „ტკბილი პურის“ (ნაზუქი, ქადა) დასამზადებლად. ძველ საქართველოში ცნობილი ყოფილა „შაქრიელი“. ეს იყო სხვადასხვანაირად შემზადებული შაქარი; ყოფილა „შაქრის პურიც“, საბას ცნობით „შაქრათა და ნიეთებთა სხვადასხვა რიგად პურნი მცხვარნი“.

დოც. **გ. ზარდალიშვილი**

მეცნიერების საწარმოში

კომუნისტურმა პარტიამ და მთავრობამ ჩვენს მეცნიერებს, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებს საგანგებოდ დაავალა იმეგობრონ და ითანამშრომლონ კომუნისტური შრომის ბრიგადებთან და ამ საპატიო წოდების მოპოვებისათვის მებრძოლ ადამიანებთან.

პარტიის ამ მოწოდებას ჩვენი უნივერსიტეტის მეცნიერებმა შინაარსიანი ღონისძიებით უპასუხეს. ამ დღეებში უნივერსიტეტის რექტორატის, პარტიული კომიტეტისა და ადგილკომის ინიციატივით თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის კლუბში მოეწყო უნივერსიტეტის მეცნიერების შეხვედრა ქ. თბილისის მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა კომუნისტური შრომის ბრიგადის წოდების მოპოვებისათვის მებრძოლ მუშებთან.

ახალგაზრდა მუშებს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების შესახებ ესაუბრა დოც. ივ. გურგენიძე.

მუშებმა ინტერესით მოისმინეს პროფესორ ა. კახნაშვილის მოხსენება ქიმიის მეცნიერების მიღწევების შესახებ. აუდიტორიის პროფესორმა ვ. კოკოჩაშვილმა წვის პროცესებზე ცდები უჩვენა, რასაც მუშების აურაოდღება განსაკუთრებით მიიქცია.

უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები მუშებს ამჯერად პირველად რიდი შეხვედრიან, მაგრამ აღნიშნული შეხვედრა ყველა წინანდელისაგან გამორჩეულია. მას უფრო მეტი საქმიანი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვნდა.

აი, ასე იწყება ნამდვილი მეგობრობა. პროფესორ-მასწავლებლები მუშებს დაპპირდნენ, რომ შემდეგშიც ხშირად მოიწყობენ ასეთ შეხვედრებს.

ვ. კასრაძე

იუმორი

—ყოჩაღ, კოპერნიკ, მართლაც რომ ბრუნავს!..

ნახ. **რ. გაბრიაძისა**

რედაქტორი ირ. ვეშაპაიძე

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, № 1. ტელეფონი 2-28-34.

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა-ლითოგრაფია. ი. ჭავჭავაძის გამზირი, № 1. ტირაჟი 2000. უე 03747.